№ 39 2 აპრილი, ოთხშაბათი 1866—1875 2 აპრილი, ოთხშაბათი № 39

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მეედანზე, ყორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პარასკევს აპრილის 4-ს თბილისის საზაფხულო თეატრში იქნება

ქართული სალიტერატურო და მუზიკალური სალამო

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: უ. უ. დ. ი. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. მრისთავი, რაფ. მრისთავი, აბგარიანცი და სხვანი.

დაწვრილებით განცხადება აფიშებით.

საქართველო

მცირე რამ ახალ-დგმაზე

ქალები.

საღმრთო მოთხრობიდამ ვიცით, რომ საქართველო ღვთის მშობლის წილ-ხვედრია!...

ანდრია მოციქულმა შამოიტანა „სიტყვა ქრისტესი“ პირველ-საუკუნის დასაწყისში ჩვენს საქართველოში, მაგრამ მისმა მოძღვრებამ ფესვი ვერ გაიდგა, სანამ მეოთხე საუკუნეში არ გამოუჩნდა საქართველოს ნინო განმანათლებელი. მაშინ კი ამ ღირსმა ქალწულმა, ნანა დედოფლის შემწეობით, მოჰფინა ჭეშმარიტება კერპთა მხარეს.

ბევრი მესანიშნავი მეფეები ჰყავდა საქართველოს, მაგრამ გვირგვინი, თუმცა კი დროებითი, დედა-კაცმა დაიდგა, როდესაც გაუმეფდა თამარ-დედოფალი.

მამულისა და ქრისტიანობის გულისათვის თავ-შეწირვა თითქმის აუცილებელი კანონი იყო ქართველებისათვის; მოწამეები არ აკლდნენ, მაგრამ უფრო გამოჩენილათა და საგულის-ხმოთ გამოუჩნდა ქეთევან დედოფალი, რომელმაც უცნაურს გულის სიმაგრით და სასოებით მიიღო ბრწყინვალე მოწამის გვირგვინი. აი აქაც კიდევ დედა-კაცი!...

ამ მაგალითების ძალა-უნებლიეთი ბრალი იყო, თუ კიდევ სხვის რასმესი, — ეს კი იყო, რომ საქართველოში საზოგადოთ დედათ სქესი განსხვავებული იყო და ღვაწლსაც ცემდა. —

ოჯახის მეურნეობა მათს ხელში იყო. მართალია, დიდი სამეურნეო არა ჰქონიათ რა მოუსვენრობის გამო, მაგრამ კიდეც ის არის საქმე, რომ, როცა არ არის, მაშინ უნდა უმეტესი მოღვაწეობა, თორემ საესე და ბრწყინვალე ოჯახის გამოხილვა ვის არ შეუძლიან?

ქმრებს ამხნევებდენ, შვილებს მამულს უზდიდენ, დედის რძესთან ერთად მამულის სიყვარულს თან აწოვებდენ მათ, გმირებათ ჰხდიდენ, და აკენის რწევის დროს, ნანინათ მათ წინაპრების გმირულ თავგანწირულობას უმღერდენ!

წიგნობრობაც მათ ხელში იყო, საერო რაც იყო იმ დროში იცოდენ და საღმრთოზედ რაღა თქმა უნდა. როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმაზედ მიწვენით იცოდენ. დაბადება იყო მათი მოუშორებელი წიგნი და ამგვარათ გონება ნავარჯიშები და საქმე გამოულეველნი ზნეობით სიმაღლემდე აღწევდენ.

სამეფო საქმეებშიაც ერეოდენ თავის რჩევით და ხშირად პირადის დახმარებითაც. ათასს და ათი ათასს მაგალითებში მოვიყვანთ შემდეგს: როდესაც ხრესილზედ მეფე სოლომან პირველმა დაამარცხა ბოლი-ფაშა, ერთს ქალს მოუვიდა მახარობელი, რომ მეფემ სძლია. ის ქალი (მგონი აბაშიძის ქალი) სიხარულმა აიტაცა და დიდხანს აღარა უთქვამს რა. ბოლოს იკითხა: ვინ მოკვდა და ვინ დარჩაო? მომთხრობელმა გადმოჰყარა ცრემლები, და მიუგო: „თქვენი უფროსი შვილიო!“ დედამ არაფრად შეიჩნია და სთქვა:

— მადლობა ღმერთს, სამიც კიდევ სხვები დამრჩებიანო!

— ვაი რომ ვერა!.. მეორემაც თქვენი ჭირი წაილო!...

— დიდება უფალს, ორი ხომ დამრჩენ?

— მესამეც მტრის რაზმში განგმირეს.

— ერთი ხომ მაინც გადმირჩა? ჰკითხავდა თან-და-თან აღელვებული დედა!...

— მეოთხე კი ცოცხალი გადარჩა.

— იყავ ნება უფლისა, მეც მისთვის გამოეზარდე ისინი, რომ მამულს გაჭირვებაში გამოდგომოდენ. დღეს ჩემს თვალებს ცრემლები არ შეჰშვენის. ჩვენ გაიმარჯვეთ? ვსძლიეთ მძვინვარე მტერი? მაშ საზოგადო შვება გვმართებს და მერმე კი გაიმცხადებ ჩემს შვილებს. — ერთიც მითხარი, ხომ სახელოვანად დაიხოცნენ!....

— მათმა სიმხნემ მეომრები გააკვირვა.

დედამ ამპარტავნულად გაიღიმა.

— მაშ ჩემი ის ერთი შვილი როგორღა გადარჩა?

— ძმებთან არ ყოფილა.

— როგორ თუ ძმებთან არ ყოფილა?

— დიახ, სულ არ დასწრებია ომში.

— ფუ შენს კაცობას, შე ქალაჩუნავ, მოგიკლავარ შენი დედა! მოახლეებში გამოზდილი იყავი, რა სახელს ნახავდი და ან რას არგებდი მამულს. აქ კი მმართებს ტირილიო! სთქვა დედამ და იწყო მოთქმა ცოცხლის შვილისა!

ეჰ, ვინ მოსთვლის ამგვარ მაგალითებს? საზოგადოთ ქედითები ბევრი გვჰყოლია. მართალია, თვალდა-თვალ დასანახავათ ოსნოფრეებისათვის იმათ თავი არ მოუჭრიათ, მაგრამ ისე კი ბევრის მძვინვარე შახებისა და ძლიერ მტრების ქართველებისადმი მძვინვარების თავი მოუჭრიათ, მათის ალერსითა და თავ-შეწირვით. ბევრჯერ თავისი ტკბილი და საყვარელი სარწმუნოება გაუცვლია მისთვის საზიზღარ მახმადიანობაზედ, დაუგდია სამშობლო, მოუკლავს თავის გულში ნამდვილი ტრფიალება და შეუყლებია მძვინვარე შ.ხს. ვინ იცის, რამდენ გზის ალერსითა და მოჩვენებულის ტრფიალებით ქართველ-ქალს დაუცხერია მრისხანე შახის ან ხანის გულის წყროდ და გადაურჩენია სამშობლო უბედურებისაგან?

ისინი რომ ახლანდელ ქალებს შეევადაროთ, კარგს სურათს ვერ წარმოგვიდგენენ თვალ-წინ.

ჩვენ კიდევ მოვსწრებივართ და გვინახავს ღრმა მოხუცებული ძველის დროდგან იმ საიასალო გუნდიდამ დარჩენილი. ღმერთო! რა სასიამოვნო ყოფილა მათი ნახვა!

ამას წინათ ერთს ღრმა მოხუცებულ ქართველ ქალთან შემხვედა ბაასი. სიამოვნებით მებაასებოდა ბევრს რამეზედ მოხუცი. იმასთან გულს არ მოსწყინდებოდა და ტვინი არ იღალებოდა. ერთხელ სხვათა შორის სიბერეზედ ჩამოაგდო სიტყვა და სთქვა:

ფელეტონი

კლდე-მაღალას ციხე

ისტორიული ლეგენდა

(დასასრული)

— „შვილო! მირიანის სიკვდილის შემდეგ, გაჭრა ბედნიერება ჩვენი საქართველოსი და მწუხარებანებას არ მაძლევს, რომ ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვე... ოსებმა ძეტის-მეტად შეაწუხეს ქართლი, და მეტადრე მაბიშენის სიკვდილის შემდეგ უმეტესი ნაწილი ქართველებისა ოსების ულელ ქვეშ კენესოდა. ამ დროს გაჩნდა ის წყეულ-შეჩვენებული ბაყათარი, რომელმაც დაიპყრო მთელი ქართლი და ბოლოს იქამდის კადნიერი გახდა, რომ შენი...დაჲ... ძთხოვა ცოლად და რადგან მე და მთელმა საქართველომ უარი შეუთვალეთ, იმ-ნ შეკრიფა მთელი ოსები, დაეცა ქართლს და საშინლად აოხრა. შემდგომ მოადგა ამ დედა ქალაქს მცხეთას მუქარით: „ან მომეცით თქვენი ნებით ქალიო, და ან არა, გამოდით საომრათ, გაგჟლეტოთ და გავასწორო მიწის პირათ თქვენი დიდებული მცხეთა და მასთან მთელი საქართველო“. ქართველები არ დათანხმდნენ; მაგრამ მე ერთი შვილის დაღუპვა ვირჩიე მთელი სამეფოს დაღუპვას და მივეცი შენი და ჩემის ნებით... აბა, შვილო! დამძრახამ ამ ქცევისათვის? მე, შვილო, შენს გამეფებამდის ეინახავდი ამას დაფარულ საიდუმლოდ და ახლა რაღანც შემთხვევით გაგიგია, შენ იცი, ჩემო თვალის სინათლე, საყვარელო ვახტანგო! აბაცვალე თავი შენს მამულს და შენის დის გულისთვის სამეფოს უფრო უბედურს მდგომარეობაში ნუ ჩაადგმევინებ ფეხს! მოითმინე, შვილო, და თვით დროება გადუხდის წყეულ ბაყათარს საქართველოსთვის! ეს არის, შვილო, ჩემი შენდამი ანდერძი და ახლა მაცნობე შენი ეჭვი: რა გსურს და რა საქმით დაიწყებ ჯერ სამეფოს გაბედნიერებას და მერმე შენი დის ბედის გაბრწყინვებას?...“

ვახტანგმა გაიქნია-გამოიქნია თავი და სიბრაზით უპასუხა:

— დედაე! ცოცხალი რათ ვარ, თუ კი ჯერ ჩემი სამეფო ამისთანა მდგომარეობაშია ერთი კაცის წყალობით და მერმე ჩემი და, რომელიც მყავდა თუ არა, აქამდის არ ვიცოდი, იმას დატყვევებული უზის ქასპის მღვიმეში. რისთვის ვარ დაბადებული, თუ ამ უბედურებას გულ-გრილათ შევხედავ? არა, დედაე, მე მსურს ერთს დღეს გადავსწყიტო მთელი საქართველოს და ჩემი დის ბედი! მე მეთექვსმეტე წელში ვდგევარ და ახლა ხომ აღელვებული ქართველების სისხლი ქოთქოთებს ჩემს ტანში?! ჩემი სიბრაზის ძალას რომელი ქალაჩუნა ოს-ბაყათარი დაუდგება წინ, თუ ამასთანავე მკლავ-მძლავრი და ერთგული ქართველებიც გვერდით მახლდებიან!?.. მშვიდობით, დედაე! მე დღესვე შეუდგები ჩემს საქმეს.

მართლაც, იმავე დღეს ვახტანგმა აფრინა შიკრიკები აქეთ-იქით წარჩინებულ ქართველებთან, რომ ისინი დანიშნულ დროზედ შეკრებილიყვნენ ქ. მცხეთაში.

ერთს კვირაზედ რამოდენიმე ათასი შეკმაზული ქართველები შეიკრიბნენ მცხეთაში და მათ სპასალარათ თვით ვახტანგი დადგა, რომელიც ფეხ ქვეშ მიწას აღარ გრძნობდა მე-

— ეჰ... ახლა ჩემზედ დავით წინასწარმეტყველის სიტყვა: დღენი ცხოვრებისა მისისანი სამეოცდა ათ წელ უკეთუ ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელ, და უმეტესი შრომა და სალამბაო. რაღა სიცოცხლეა ახლა ჩემი სიცოცხლე? ვილას რათ უნდიარ? ჩემი გულის ნაცნობები ყველანი იქ არიან! მიიშვირა ცაზედ თითი,—მაგრამ მაინც მადლობა ღმერთს, რომ ამ ათის წლის წინეთ არ მოეჰკვდი და მოვალწიე ამ დრომდიც, როდესაც კეთილ ნიშნებსა ვხედავ. ახალგაზდები ზოგად იმ ძველ-ქართველებს მაგონებენ მათის გულვნებითა და განზრახვით. ქარგია, შვილო, იმედი მაინც ჩამყვება საფლავში!

ეს ჰსთქვა და ცრემლები გადმოჰყარა მოხუცმა....

აბა, ახლანდელ ქალთან მიბძანდით და თუ მოგაწყინოსთ თავი ამისთანა რამეებით!

და ან რა სურათს წარმოგვიდგენენ დღეს ისინი? მშობლიურს ალარას კადრულობენ, რადგანაც მოდა ალარ არის, სალმრთო, საერო მათთვის უქმე რამეა. არ იციან დედა ენა და უცხოს კი იმდენათ ვერა სწავლობენ, რომ გონება გაიწრთვნან, იციან მხოლოდ საპოჭოლუსტო ენა და აქესთ მხოლოდ სატანცი-მანცო ქცევა.

მაგრამ მათი ბრალი არ არის.

ამასაც კი ეიტყვით, რომ ენერგია და საიმედო, საკეთილო ნიშნები მომაელისათვის ქალებში მეტია, ვიდრე ვაჟებში. ეს, მგონი, მისი ბრალია, რომ ისინი უფრო ცოტასა სწავლობენ, ვიდრე ვაჟები და მაშა სადამე უფრო ნაკლეთ ერყევათ ტვინი და უფუჭდებათ ხასიათი, ვიდრე ვაჟებს, ახლანდელის მიმართულების წყალობით. მუშა სტუდენტები რომ ამ ახალგაზდა ქალებს მიაქცევდ'ენ ყურადღებას, უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე ვაჟებზედ, და ნასწავლი ქალი უფრო სარგებელს მოგვიტანს ვიდრე ვაჟი. პირველ მიზეზათ ისიცა კმარა, რომ ნასწავლ ქალს ნება არ ექნება პორტფელი ხელში დაიჭიროს და მაშასადამე ისევ შინაურულად უნდა ამოქმედოს თავის სწავლა.

ეს 15 წელიწადია, რაც უნივერსიტეტები-გვაძლევენ სტუდენტებს, მაგრამ უმეტესობა ჯერ სულ ქარაფშუტები და გაიძვერები არიან და რომ იმდენს ქალს მიეღო განათლება, უფრო მეტი ნაწილი იქნებოდა კარგი თუ არა? უფრო მეტს სარგებელს მოიტანდენ თუ არა? უეჭველია, თუ სულ არა, ხუთი წილი მაინც გამოსადეგი და კეთილ-ნამყოფის მომტანი იქნებოდა.

აქ ყველა მიზეზებს არ შეეხები, მაგრამ მცირე მაგალითიც კმარა.

ქალს თავის თავათ მოქმედება რომ შეუძლიან—ამის წინააღმდეგი დღეს ალარავინ არის, მაგრამ უმეტეს ძალას იმითი იჩენენ ქალები, რომ სხვებს ამოქმედებენ. ავიღოთ მაგალითად თამარ მეფე, ეკატერინა მე-II,—ელისაბედ ინგლისის კოროლევა. მათ დროს მათი ქვეშევრდომები დარბაისლები ვარსკვლავებივითა ბრწყინავდენ. ეს იმისაგან იყო, რომ თავის ალერსით, შეტკბობით და მაგალითით იმათ ალაგზნებდენ და თავგამომეტებით ამოქმედებდნენ. მართლაც, დღესაც რომ ენერგიული რამდენიმე ახალ-გაზდა ქალი გვყავდეს და მუშაობდენ, ჩავარდებიან გულის ხმაში ახალგაზდა ვაჟები და ალეგზნებიან მათის მაგალითით თუ არა? იმედია, ამის წინააღმდეგს ვერავინ იტყვის.

დიახ, გულით ვურჩევთ ნამდვილ ახალგაზდობას, რომ მათ მიაქციონ უმთავრესი ყურადღება ახალგაზდა ქალებზედ, მოამზადონ ისინი ნამდვილ დედებათ შემდეგის დგმისათვის, გამოიყვანონ ისინი ზნეობით დაჩაგვრისაგან და მაშინ მათი შრომა უნაყოფოდ არ ჩაიელის.

აკაკი

„დროების“ კორრესპონდენცია

—

რაჭიდამ, 23 მარტს.

ჩვენი რაჭა დღემდის ისეთი მივარდნილ—მიყრუებული და ხელ-უხლებელი ქვეყანა იყო, როგორც ახლა სვანეთია. მაგრამ, ამ უკანასკნელ წელიწადებში თან და თან აჩნდება განათლების კვალი.

აქაური შკოლები თან-და-თან მრავლდებიან. 1873 წელს გაიხსნა შკოლა შვიდ სოფელში, მეორე წელიწადს კიდევ ხუთ სოფელში დამესამეს, ესე იგი წელს კიდევ ორს სოფელში. მაშა სადამე რაჭაში ამ ჟამად 14 სასოფლო შკოლაა; ასე რომ ამ მხრით ჩვენი უეზდი იმერეთის ყველა უეზდებზე უფრო წინა დგას. იმედი გვაქვს, რომ მომავალს წელს სხვა სოფლებშიაც გაიხსნება შკოლები, სოფლის საზოგადოებების თანახმობით.

უნდა ვსთქვათ, რომ სწავლაც, ყველა ამ შკოლებში თუ არა, მომეტებულ ნაწილში ძლიერ კარგათ მიდის. მითოეულს შკოლაში ორმოცზედ ნაკლები ბოსწავლე არ სწავლობს. ხალხი მეტად კმაყოფილი და მოხარულია.

უფრო საბიამოვნო და სასიხარულო რაჭისათვის ის იქნებოდა, რომ ოლნის სასწავლებელს ფეხი არ მოსტეხოდა და სასოფლო შკოლებისთვის წინ წაესწრო; მაგრამ, საუბედუროდ, უკანაც ველარ მისდია. ამ სასწავლებელში თითქმის სულ აზნაურების შვილები სწავლობენ, მაგრამ, რომ ველარ ხედვენ იქ ხვირს სოფლის შკოლებში შედიან. აზნაურები განზედ უყურებენ სასოფლო შკოლებს და გლეხ-კაცის შვილებს: თითქო ძალიან სწყინთ რომ ისინი კარგათ სწავლობენო, თითქო შეჰშურთ, რომ გლეხი-კაცი უმეცრების სიბნელიდამ გამოვიდესო.

ლ. პეტრიაშვილი.

ჯონ მიტჩელი

ინგლისიდამ მოსულმა ტელეგრაფმა შეგვატყობინა, რომ ირლანდიის ერთს პატარა ქალაქში გადაცვალებულა გამოჩენილი ირლანდიელი პატრიოტი და რევოლიუციონერი ჯონ მიტჩელი.

მოკლეთ გაცნობა ამ შესანიშნავი კაცის ცხოვრებისა ჩვენი მკითხველებისათვის მომეტებული არ იქნება.

ჯონ მიტჩელი დაბადა ირლანდიაში 1814 წელს. მამა მისი სამღვდელო წოდების კაცი იყო. თავის ახალგაზდა შვილი დუბლინის უნივერსიტეტში გაგზავნა იურიდიკული საგნების სასწავლებლად, ადვოკატად უნდა მომზადებულიყო. მაგრამ ჯონმა სულ სხვა გზა აირჩია: 1845 წელს იმან დააფუძნა გაზეთი სახელად „Nation“ (ხალხი) და დაიწყო იმავე პოლიტიკური აზრების გავრცელება, რომელსაც იმ დროს გამოჩენილი ირლანდიელი პატრიოტი ო,კონნელი ჰქადაგებდა. ცოტა ხნის შემდეგ, იმან დააფუძნა პოლიტიკური საზოგადოება სახელად „ირლანდიის კონფედერაცია.“

როგორც ამ საზოგადოების, აგრეთვე ჯონ მიტჩელის ყველა მოქმედების მიზანი ის იყო, რომ თავის სამშობლო ირლანდია ინგლისის დამოკიდებულებისაგან განეთავისუფლებინა. ამისთვის არაფერს არ ზოგავდა: არც შრომას, არც შეძლებას და არც თავის ცხოვრებას.

ის ამბობდა თავის გაზეთში, რომ რადგანაც ინგლისს არა ჰსურს, რომ თავის ნება-ყოფლობით განგვათავისუფლოს, ძალით უნდა ვეცადნეთო.

ამგვარი აზრების გავრცელებისათვის ის სამართალში მისცეს და ბერმუდის კუნძულზე გაგზავნეს დასასჯელად.

1852 წელს ის გაიქცა ტყვეობიდამ და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში წავიდა. აქ ამ უკანასკნელ დრომდი ლიტერატურულ შრომაში თავის თანამემამულეების გამხნევებაში და სამშობლოს განთავისუფლების მეცადინეობაში ატარებდა მიტჩელი სიცოცხლეს.

ჯონ მიტჩელმა დასწერა რამდენიმე თხზულება, რომელთაც ყველას ერთი და იგივე მიზანი აქვს: აღიძრას თავის თანამემამულეებში ინგლისისაგან განთავისუფლების სურვილი.

ტის აღტაცებით. ეს კრება ქართველებისა ვახტანგის ბრძანებით უნდა მომხდარიყოს აპრილის თვეში 438—440 წლებს შუა ქრისტეს შემდეგ.

ახალგაზდა, თექვსმეტი წლის ვახტანგი გავიდა მცხეთის ხიდს, გაუძღვა ქართველებს ოს ბაყათართან საომრად, შეუარა მტკვარს და მოადგა ს. ბომს ქვემოდამ, ქ. კასპის პირდაპირ. ამ დროს დასთანაც გაგზავნა ჩუმათ კაცი და დაბარა ეს სიტყვები: „დღეს ბრძოლის ველს ვდგევარ ჩემი ერთგული ქართველებით და მსურს ბაყათართან შებმით გადავსწყვიტო საქართველოს და შენი ბედი! ეგედრე ღმერთს, დაო, შემწე იყოს“...

შემდეგ სამხედრო თათბირისა, ვახტანგმა გაუგზავნა კაცი ბაყათარს ბრძოლაში გამოსათხოვნელათ. ეს რომ ბაყათარმა შეიტყო, როგორც თავ-მომწონე მეომარმა და რამდენიმე გამარჯვებით წაქეზებულმა, თავი ვერ შეიმაგრა სიცილისაგან და ჰსთქვა: „ხუთი წლის ბავშვთან უნდა ამოვიღო ხმალი ამოდენა სისხლის დამღვრელმა ბრძოლის ველზედ?“ ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ აქ სიცილს ალაგი არა ჰქონდა, შემოუთვალა: „ბამო და ბატონი ბრძანდებიო!“

ვახტანგი აენთო ამისთანა შეუპოვრობით ბაყათარის მხრით და შეუთვალა: „შენ საიდგანღაც მოთრეული ოსი ხარ ჩემს სამეფოში და მე დღეს სჯულიერ საქართველოს მეფეს მითელი, რომ გამოვიდე და გიახლო?“

რადგან ბაყათარს ეს სიტყვები კანონიერად ეჩვენნენ, ამისათვის თანხმობის ნიშნად შემოუთვალა: „მაშ ფიცი მომეცი, რომ წყალში არ მიღალატებო!“ ვახტანგმა მისცა ჯეროვანი ფიცი და ბაყათარმაც იწყო მზადება გამოსასვლელათ.

ამ დროს მოვიდა ვახტანგისაგან დასთან გაგზავნილი კაცი ამ პასუხით: „ძმაო! გაუფრთხილდი შენს სიყმაწვილეს! შენ ყველა მხრით გამოუცდელი ხარ და ჯარიც ერთი-ოცად მცირე გყავს, ვინემ შენს მტერს. ბაყათარი კი ომშია გაწვრთნილი და ვერა იარაღი შეეხება სასიკვდილოდ მის ტანს. ამისათვის ბაყათარს ვერას დაკლებ და უფრო გააფუჭებ საქართველოს. მაგრამ რადგან არ იშლი, ეცადე მარცხენა იღლიაში მოახვედრო იარაღი, რადგან მხოლოდ ამ ადგილს არის ოფლით გამომპალი იმის ტანსაცმელი საომარი ჯაჭვი და ამ მიზეზისაგამო მხოლოდ ამ ადგილს მიუდგება იარაღი. მშვიდობით, ღმერთს გიძღვნი შემწედ“.

ვახტანგი ამ სიტყვებით ძრიელ აენთო და უფრო მეტის სურვილით ელოდა საქმის მალე გადაწყვეტას.

აი, შემოვიდა მტკვარში ბაყათარი ცხენით, რომლის სადავე მარჯვენა ხელით ეჭირა და მარცხენათი მათრახს უშხუილებდა გავაზედ თავის ლურჯას.

ვახტანგმა თავის დაახლოებულ პირებთან გარდაწყვიტა, რომ პირდაპირი ომით ვერას გავაწყობთო და ამისათვის იმან იხმარა ეს ჭეშმარიტი ლირსების დამამკირებელი ღონის ძიება, მაგრამ გაცხარებული ვახტანგი ყველა შემთხვევისათვის მზა იყო: როდესაც ბაყათარმა მარცხენა ხელი აიღო მათრახის დასაკვრელად, ვახტანგმა შავარდენის სიმარდით მოაწყო მშვილდ-ისარი, ამოუნიშნა ბაყათარს მარცხენა იღლიაში და ამით

სამართალი

თ. ნ. ჩოლაყაშვილისა და იმის ცოლის საქმე

—

აი საქმე, რომელზედაც ეს რამდენიმე წელიწადია საზოგადოების ყურადღებაა მიქცეული, რომელზედაც ყველანი ლაპარაკობენ, რომელზედაც განსაკუთრებით ქმრებსა და ცოლებს აქვთ გაცხარებული მსჯელობა.

წასულ კვირაში, 27 მარტს, ხელახლად და ნიშნული იყო ამ საქმის განხილვა თფილისის ოლქის სასამართლოში.

მკითხველს ეხსომება, რა დანაშაულსაც აბრალებდენ თ. ნ. ჩოლაყაშვილს. ბრალმდებითი აქტიდამ სჩანს, რომ იმან თავის ცოლი დაიწყვედია ოთახში. (თავისუფლება წაართვა), დასტანჯა და სცემა, რომლის გამოც ორსულს მუცელი წაუხდა.

სასამართლოს შემდეგი პირები შეადგენდნენ: თავს-მჯდომარე — ბარბოვსკი — ზარანეკ, წევრები: ქუზმინსკი და პოლტარაცკი.

ბრალდებულს ამტყუნებდა ერთის მხრით სასამართლოს პროკურორი უ. ქუზმინსკი და მეორეს მხრით კერძო გამამტყუნებელი — უ. ს. არწრუნი. ბრალდებულის დამცველი იყო უფ. სტეფანოვი.

სასამართლოს კარები დ ლის 11 საათზედ გაიღო; უანგარიშო ხალხი შესცვივდა ზალაში. მაგრამ გამოვიდნენ თუ არა მსაჯულები, თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ თ. ჩოლაყაშვილის საქმე საიდუმლოთ უნდა განიხილოსო და ამნაირათ მაყურებლები იძულებულნი იყვნენ გარეთ გამოსულიყვნენ.

სამი დღე მოწმების ჩვენების ჩამორთმევას მოუნდა (სულ 60 მოწამე იყო გამოხმობილი, 4 არ მოსულა). 29-ს საღამოს 8 საათზე გამამტყუნებლებსა და ადვოკატს შუა ბაასი დაიწყო და სასამართლოს კარები გააღეს.

პროკურორმა უ. ქუზმინსკიმ ორი გამამტყუნებელი პუნქტი წარმოადგინა: პირველი ის, რომ თ. ნ. ჩოლაყაშვილმა თავისუფლება წაართვა თავის ცოლს და მეორეც ის, რომ ცემით და შიმშილით დასტანჯა. ის ამბობდა, რომ ეს ორი ფაქტი მოწმების ჩვენებითა და საქმის გამოძიებით ნათლად დამტკიცებული არისო. უფ. პროკურორმა ხელი აიღო იმ გამამტყუნებელი პუნქტისაგან, რომლითაც ნ. ჩოლაყაშვილს თავის ცოლის მუცლის წახდენას აბრალებდნენ; ეს ფაქტი კარგათ დამტკიცებული არ არისო, სთქვა. მარგამ დანარჩენი ორი დანაშაულისთვის თხოულობდა, რომ ნ. ჩოლიყაშვილს ყოველი ღირსება ჩამოერთვას, კატორღაში გაიგზავნოს და შემდეგ ციმბირში დაასახლონო.

უფ. ს. არწრუნი ამ გამამტყუნებელ პუნქტებს გარდა, იმასაც ამტკიცებდა, რომ ბრალდებულის ცემისაგან წაუხდა იმის ცოლს მუცელიო. საზოგადოთ, თითქმის ყველა მოწმეების ჩვენებიდამ სჩანსო, რომ თერთმეტი წლის განმავლობაში ეს კაცი უმოწყალოთ სცემდა, საძაგლად ეპყრობოდა და სტანჯავდა თავის ცოლსაო. ის ამბობსო და იმით იმართლებს თავსაო, სთქვა უფ. არწრუნიმ, რომ მე ეჭვიანი ვარო. მაგრამ ეს იმის გასამართლებელი საბუთი კი არა, პირ-და პირ გამამტყუნებელი საბუთი არისო: ჯერ ერთი, რომ იმის მეუღლე, როგორც აღმოჩნდა, ისეთი ყოფა-ქცევის ქალი არ იყოო, რომ ქმრისთვის ეჭვიანობის მიზეზი მიეცაო; მეორეთ ეს, რომ ამ სიტყვებით სჩანს, რომ თვითონ იმას დამნაშავედ მიაჩნია თავი, თუ შესამსუბუქებელი გარემოება (ეჭვიანობა) მოჰყავს.

ბრალდებულის დამცველი უფ. სტეფანოვი ამბობდა, რომ ჩოლაყაშვილის წინააღმდეგ არცერთი გამამტყუნებელი პუნქტი არ არის რიგიანათ დამტკიცებულიო; ზოგი მოწმეები ასე ამბობს, ზოგი ისეო; ზოგი ამტყუვნებს, ზოგი ამართლებსო. საქმიდამ მხოლოდ ის სჩანსო, რომ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება ყოფილა. მაგრამ ამ უთანხმოებაში რომ, საუბედუროთ, გარეშე პირები არ გარეულიყვნენ, უეჭველია, ცოლ-ქმარი შინაურულად მორიგდებოდა და ეს საქმე სასამართლოდინაც არ მოაღწევდაო.

შემდეგ უფ. სტეფანოვმა დაიწყო თითო-თითოთ დარღვევა იმ გამამტყუნებელი პუნქტებისა, რომელნიც ბრალმდებითს აქტში და უფ. არწრუნის სიტყვაში იყო მოხსენებული. და მართალი უნდა სთქვას კაცმა, უფ. სტეფანოვი კარგი ლოგიკით ლაპარაკობდა, და ხელოვნებით არღვევდა ყველა საბუთებს. მაგრამ ჩოლაყაშვილი მაინც ვერ აიხსნა.

ბოლოს ნ. ჩოლაყაშვილმაც წარმოსთქვა თავის გასამართლებლად ორიოდე სიტყვა.

ამით გათავდა ამ დღეს ორ მხარეს შუა ბაასი. მეორე დღეს, კვირა დილას, 29 მარტს, სასამართლომ დაადგინა ჩვეულებრივი კითხვები და ორი საათის რჩევის შემდეგ თ. ნ. ჩოლაყაშვილი დამნაშავედ იცვნეს იმაში, რომ იმან თავისუფლება მოაკლო თავის ცოლს და სტანჯავდა, და შემდეგი დასჯა გადაუწყვიტეს: პირადი და ქონებითი ღირსების ჩამორთმევა, ხუთი წლით გაგზავნა ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც დაუნიშნავენ, შემდეგ 12 წლით ციმბირში; და ამას გარდა საეკლესიო სინანული უნდა მოიხადოს.

მაყურებლებს ისე გაუხარდათ ამ გადაწყვეტილების მოსმენა, რომ როგორც განჩინება გაიგონეს და მსაჯულებმა პირი მეორე ოთახისკენ გაიბრუნეს, უეცრად შეჰქნეს გაცხარებული „ბრავოს!“ ყვირილი.

უფალმა ნ. ჩოლაყაშვილმა ძალიან გულ-გრილად მოისმინა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის გაგონებისშემდეგ სთქვა:

— აქ კაცი ხმას არა მცემს; იქ წავალ, დამელაპარაკება ვინმე მაინც არის!

ს. მესხი

წესდება

თიანეთის გამსამართლებელ-მოსამართლეობის ხელ ამხანაგობისა

თარგმნილი

ლევან ჯანდიერიშვილისაგან

—

ნამდვილს აწერია:

ვამტკიცებ

ფინანსთ მინისტრი

სტატს-სეკრეტარი რეიტერნი

30 აპრილს 1874 წელსა.

(მაგრძელება)

სასარგებლოთ შემოტანილი ფული

29. სასარგებლოთ შემოტანილი ფული, ამა წესდების განსაზღვრის საფუძველით (მუხ. 25] მიიღება ყოველ წევრისაგან ორ ზომაზე მომატებული არა, იმ წილადის ფულის ზომისა, რაც დადგენილია ამ წესდებით [მუხ. 16) და არა ნაკლებ ორის შაურისა. ზარეშე პირებისაგან, რომელნიც ამხანაგობაში წევრებათ არ არიან, — შესანახავათ ფული მიიღება ამავე ზომით, თუ მაზედ საზოგადოების საკუთარი ნებართვა მოხდება. (მუხ. 107 პუ. ბ.).

30. სასარგებლოთ შემოტანილი ფული მიიღება:

ა. ვადის დაუნიშნავათ — მოთხოვნამდე;

ბ. ვადის დაუნიშნავათ მხოლოთ იმ პირობით, რომ წინად აცნობონ გამგებლობას ფულის გამოტანის სურვილი იმ ვადებზე, რომელნიც დანიშნულია საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პუნ. ბ), და.

ბ. ვადით, რომელიც საზოგადო კრებისაგან დანიშნულ იქნება (მუხ. 107 პ. ბ).

31. ვადით სასარგებლოთ შემოტანილი ფულები [მუხ. 30 პუ. ბ და ბ) არ მოითხოვება იმ ვადაზედ ადრე, რა ვადითაც შემოუტანიათ; აგრეთვე ამხ.ნაგობასაც არ შეუძლიან ვადის გასვლამდე შემოტანილს ფულზედ პირობა შესცვალოს.

32. სასარგებლოთ შემოტანილ

დაუსრულა იმას საქართველოსთვის შემაწუხებელი ცხოვრება; ოს-ბაყათარი ხელ-ფეხის ქნევით წაიღო ამ-ღერეულ ადიდებულმა მტკვარმა. ოს ები გაიფანტნენ უპატრონო თხებივით, რაკი ბაყათარი საუკუნოდ მოშორდათ. ქართველები წაქეზებულნი ამ გარემოებით გაცვივდნენ მტკვარში და ამოჟლიტეს ოსების უმეტესი ნაწილი; ხოლო დანარჩენები ამ სამწუხარო ლექსის სიმღერით წავიდნენ ტუს-ტუსით:

„ქართველთ მეფემ ფიცი სტეხა, შეარცხვინა თვისი გვარი,
„ოს-ბაყათარ მისცა მტკვარსა, მით შეიქნა მოღალატე!
„ღალატობით დაიფუძნა თავის ტახტი, გულ-მცინარი
„ღმერთთან მოპასუხე არის, რომ მოგვიკლა „მხარ-მოხატე!.“

ვახტანგმა და მასთან ქართველებმა ცოტა თავისუფლათ ამოისუნთქეს და გასწიეს „ძლდე-მაღალას“ ციხისკენ, საიდგანაც დიდის სიხარულით გამოიყვანეს თორმეტი წლის დატყვევებული ვახტანგის და ქართველური „ჰარიარალოს“ ღილინით დაბრუნდნენ მცხეთაში.

როდესაც დაისვენა ვახტანგმა, მცხეთელებს აი რა უთხრა: „დღეს შეწევნითა ღვთისათა დაეთრგუნე მძვინვარე მტერი ჩვენის მამულისა და ვიმედეულობ, რომ ამის შემდეგ საქართველო მოსვენებით ცხოვრებას იწყებს. მე ამით ვიწყე ჩემი მეფობა და საყვარელ საქართველოს ვსწირავ ჩემს თავს! მაგრამ ტვირთი ვით მაწევს გულზედ ფიცის გატეხა და ამის გამო ღალატით მოკვლა ბაყათარისა; ამისათვის მწადს ავაშენო ოთხი ტაძარი ღვთისათვის, რათა აღიხოცოს ცოდვა ესე ჩემი.“

ქრებამ ეს ჰაზრი ძრიელ მოუწონა და გაამხნევა, რომ „ღალატი წარმართ კაცთან და მერმე კურთხეულ საქართველოს მტერთან უძლოაო“, — და თვითონვე მოაგროვა შესაწირავი შეძლებისამებრ ამ კეთილი საქმის შესასრულებლად.

ვახტანგმა არ უმტყუნა თავის სიტყვას და ააშენა ოთხი ეკლესია, რომელნიც აქამომდე უმშვენიერესნი არიან მთელ საქართველოს ეკლესიებს შორის: პირველათ ააშენა სიონის ტაძარი თფილისში; მეორე სამთავისის სობორო „ძლდე-მაღალას“ ციხის ხუთი ვერსტით ზევით, მდ. ლეხურის მარცხენა ნაპირზედ; მესამე — მეტეხის სობორო ს. ზომთან, სახელდობ იმ ადგილის მახლობლათ, სადაც ვახტანგი ჯარით იდგა გამზადებული ბაყათრთან ომში შებმისათვის; მეოთხეც — წილკნის სობორო.

ამ ეკლესიების ადგილებით ვახტანგმა გამოხატა უძლეველი ჯვარი ქრისტესი: სიონი სამხრეთით, სამთავისისა ჩრდილოთ, მეტეხისა დასავლეთის და წილკნისაც აღმოსავლეთის მხრივ. ამავე გარდამოცემით სჩანს, რომ სიტყვა „სამ-თავისი“ წარმოსდგა აშენებულის სობოროს მეტის სიმშვენიერებისგან სხვა სამ სობოროზედ; „სამ-თავი“, ე. ი. დანარჩენთ სამ ეკლესიათ თავი. მართლაც, სამთავისის სობორო არამც თუ ეხლაც ჰსჯობია თავის კეკლუცა შენობით იმ სამ ეკლესიებს, არამედ თავის შესადარს მთელ საქართველოში ვერ ჰპოებს.

ამ გვარად იწყო ვახტანგმა, შემდგომ «ბორგ-ასლანათ“ წოდებულმა, თავისი სახელოვანი მეფობა საქართველოში!

პ. ჭალელი

ს. სამთავისი.

ფულებისათვის სარგებელის ზომა დანიშნება საზოგადო კრებისაგან [მუხ. 107 პ. ე.] წინათვე იქვსის თვისათვის. შეცველილი ზომა სარგებლისა მაშინათვე დაეკვეთება მხოლოთ ახლათ სასარგებლოთ შემოტანილს ფულებსა; ხოლო ახალი სარგებელი დაეკვეთება იმ სასარგებლოთ შემოტანილს ფულს, რომელიც შემოტანილია მოთხოვნამდე, თუ სარგებლის შეცველამდე არის მიღებული და ესეც არა უწინარეს ამის გამოცხადებიდამ ერთის თვის გავლისა.

33. სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილის ფულებისა მიეცემა:

ა. საანგარიშო წლის გასულს, და

ბ. როდესაც სასარგებლოთ შემოტანილი ფული დაუბრუნდება; ამასთანავე თვეზედ ნაკლები დრო ანგარიშში არ ჩითვლება.

34. ვადით სასარგებლო შემოტანილს ფულსა ვადა რომ გაუვა [მუხ. 30 პუ. ბ და გ], სარგებელი მხოლოდ ვადის დღემდე მეთვლება.

35. სასარგებლოთ შემოტანილი ფულის სარგებელი თუ არ გაუტანიათ, იმას სარგებელი არ ეანგარიშება.

36. ყოველს პირს (მუხ. 29), რომელსაც სასარგებლოთ შემოუტანია ფული, მიეცემა სახელობრივი წიგნი, რომელშიაც ჩაიწერება ყოველივე ამხანაგობასთან აღებ-მიცემა შემოტანილის ფულის შესახებ.

37. სასარგებლოთ შემოტანილი ფული შეუძლიან პატრონს (ხვას გარდასცეს, მხოლოდ ამასთან უეჭველად თავისი სურვილი უნდა გამოუცხადოს გამგებლობას. ამ შემთხვევაში პირველანდელი პირობაებიც შეუცველელათ დარჩებიან.

ვალის აღება

38. ამხანაგობას მხოლოდ თავის სამუშაოებელ თავნის გასადიდებლათ შეუძლიან საჭირო ფული ეავლოს, როგორც თავისი წევრებისაგან, ისევე გარეშე პირებისაგან; მაგრამ ეს სესხი უნდა იყოს იმ ზომისა, რაოდენზედაც ეს წესდებულება ნებას აძლევს (მუხ. 25] და დანიშნულის ვადითა.

39. ვალის პირობა და ზომა ყოველ ცალკე შემთხვევაში, უნდა დადგინებულ იქმნას ხოლმე საზოგადო კრებისაგან. [მუხ. 107. პ. თ].

გასესხება

40. სესხითა ფული მიეცემათ მხოლოდ ამხანაგობის წევრებს.

41 ყოველს ამხანაგს თვითონ შეუძლიან უთავდებოთ ისესხოს არა უმეტეს ერთისა და ნახევრისა,—რაც მას ამხანაგობაში წილადი ანუ ნაწილი ფული ეკუთვნის.

42. თუ ერთსა და ნახევარზედ მომატებული ფულის სესხი ისურვა წევრმა, მაგრამ იმაზედ მომატებული კი არა, როგორც მოხსენებულია 51 მუხლში, უნდა მოეთხოვოს თავდებმა ერთისა ანუ რამდენისმე ამხანაგობის წევრისა.

43. სრული სესხის ზომა (მუხ. 51) შეიძლება მიიღოს წევრმა ერთიანათ, ანუ ნაწილ-ნაწილად.

44. ყოველი წევრი შეიძლება იყოს თავდებით მხოლოდ იმოდენა სესხათ ასაღებ ფულისათვის, რომ არ აღემატებოდეს მის წილადი ფულის ნახევარსა (მუხ. 16).

45. ყოველი წევრი შეიძლება იყოს თავდებათ ერთისა ანუ რამდენისმე წევრისა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ჯამი თავდებობის ფულისა, რაც მან იკისრა, არ აღემატებოდეს ფულის ზომას, დადგენილს 44 მუხლში.

46. რომელმა წევრმაც თავდებობა იკისრა, აღარა აქვს უფლება ისესხოს მხოლოდ იმდენი, რამთვენშიაც თავდებათა დგას.

47. იმ დღიდამ, როდესაც წევრი ამხანაგობიდამ გამოვა (მუხ. 10), აღარა აქვს უფლება ისესხოს ფული, ანუ თავდებათ დადგეს სხვა წევრის ნასესხისათვის.

48. როდესაც ფულს სესხულობენ, ბარათი უბრალო ქაღალდისა ერთმევათ. თუ ფულის ამღებმა წერა არ იცის, იმის მაგივრათ გარეშე პირისაგან ხელმოწერილი უნდა შემოწმდეს გამგებლობის ორის წევრისაგან, ანუ ორის მოწამესაგან.

49. გამგებლობა აძლევს სესხს მოთხოვნის ჯერითა; თუ მოთხოვნილება იმოდენაა, რომ ყველას დაკმაყოფილება უფულობის გამო არ შეიძლება, მაშინ სესხი ეძლევა უწინარეს მთხოვნელს, როგორც ჩაწერილი იქნება ამ მოთხოვნილებისათვის დანიშნულ ცალკე წიგნში (მუხ. 110 პ. ე.).

50. ამხანაგობის წევრს თუ უარი უყვეს ფულის სესხობაზედ ანუ არ მიჰხედეს იმ ჯერს, როგორც დადგენილია 49 მუხლში, შეუძლიან საჩივარი შეიტანოს რჩევაში. (მუხ. 91 პ. და.

51. უდიდესი ზომა სესხისა ყველა წევრებისათვის უნდა იყოს არა ორს ზომაზედ მომატებული წილადს ფულზედ (მუხ. 16).

52. უდიდესი ზომა სესხისა (მუხ. 51) შეიძლება კიდევ გადიდდეს, გარდაწყვეტილობით საზოგადო კრებისა (მუხ. 107 პუ. ლ) მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრების სამი წილისაგან ორს წილს სრული წილადი ფული ექნებათ შემოტანილი (მუხ. 16).

53. სესხი მიეცემათ ვადით არა მომატებულათ ცხრის თვისა.

54. ნასესხი ფულის ვადა რომ გავა, თუ საზოგადო კრებისაგან ახალი ვადის მიცემა ნება დართულია (მუხ. 107 პუ. დ) შეიძლება მიეცეს კიდევ ახალი ვადა, მაგრამ არა მომატებულ სამის თვისა და, თუ ამ ნასესხზედ თავდები არიან, უთოოთ იმათი თანხმობაც უნდა იყოს ანუ სხვა თავდებები უნდა დადგნენ.

55. მეორეთ ახალი ვადის მიცემა არა შემთხვევაში არ შეიძლება.

56. ამხანაგობის წევრს შეუძლიან ნასესხი ფული ვადაზედ წინათაც დაუბრუნოს ერთიანათ ანუ ნაწილ-ნაწილად; უკანასკნელ შემთხვევაში მანეთზედ ნაკლებ არ უნდა იყოს, ამასთანავე აღებული წინად სარგებელი (მუხ. 59] დაუბრუნდება, მხოლოდ სრული თვეებისა, რამდენიც ვადამდი დარჩენილია.

57. სარგებლის ზომა, რომელსაც ამხანაგობა იღებს გასესხებულს ფულზედ, უთოოთ უნდა აღემატებოდეს არა ნაკლებ ორის სარგებლით, რომელსაც თითონ ამხანაგობა იხდის სასარგებლოთ შემოტანილ ფულისათვის და ვალისათვის [მუხ. 32 და 39) სარგებლის ზომა უნდა დანიშნულ იქმნას საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. ე) წინათვე ყოველ ექვსის თვისათვის.

58. სარგებლის ზომის შეცვლა გასესხებულს ფულზედ (მუხ. 57) შეეხება მხოლოდ მის შემდეგ გასესხებულს ფულსა.

59. სარგებელი მსესხებლებს უნდა დაეჭიროთ ფულის გასესხების და ახალი ვადის მიცემის დროს.

60. თუ მოვალე ნასესხს ფულს ვადაზე არ შემოიტანს, მაშინ გარდახდევინება ვალისა დაეკვეთება მის კუთვნილებას ამ ქვემოხსენებულის ჩამოყოლილ რიგით:

ა) სასარგებლოდ შემოტანილს ფულს.

ბ) ჭონებას; და

გ) წილად ფულს ანუ ამის ნაწილსა.

თუ მოვალის ამ კუთვნილებამ ვერ შეავსო ვალი, დანაკლისი გარდასახადი უნდა დაეკვეთოს იმავე ჩამოყოლილ რიგით იმის თავდებების კუთვნილებას:

ა) სასარგებლოდ შემოტანილს ფულს;

ბ) ჭონებას, და

გ) წილად ფულს ანუ ამისს ნაწილს.

61. რომელი წევრიც ვადაზედ თავის ვალს არ გარდაიხდის ჯერ გაეყიდება მოძრავი ქონება და შემდეგ უძრავი. არ გაეყიდებათ: სადგომი სახლი თავისის ეზოთია საჭირო ავეჯი, ყოველ დღე საცმელი ტანისამოსი, ხორაგეულობა და შეშა, რაიც ერთს თვეს სახლის შენახვას მოუნდება, ერთი ცხენი, ერთი ძროხა, ერთი ურემი და ერთი მარხილი თავის შესაბამი მასალით, იარაღები, რომელიც საჭიროა მის ხელობისათვის და ოცდა ხუთი ფუთი თესლი. ამის გარდა, ყველა დანარჩომი უცილობლათ გაეყიდება.

62. ჭონების გასყიდვა (მუხ. 61) მოხდება სასოფლო ანუ პოლიციის გამგებლობაში, მოვალის საცხოვრებელს ადგილას, არა უგვიანეს შვიდის დღისა, ამხანაგობის გამგებლობის მოთხოვნილების შემდეგ და—თანა დასწრებითა მისის ვექილისა.

63. თუ ნასესხი ფული უნდა გარდახდეთ თავდებებს, მათ ეძლევათ შვიდის დღის ვადა ფულის შესავსებლათ და ამ ვადის შემდეგ უნდა გარდახდეთ, თანხმად 60, 61 და 62 მუხლებისა.

64. ვადაზედ შემოუტანელს ფულზედ უნდა გარდაეხდევინოს მოვალეს სარგებელი იმ დღემდე, ვიდრე სულ შეავსებს და ჯარიმა თვეში თვითეეულ მანეთზედ თითო გროშში და ყოველივე ხარჯი რაიც მოვა მის ქონების გასყიდვაზედ. გასყიდვიდამ დარჩენილი, რაც ვალს და ამ ვალის გარახდევინებაზედ მოსულ ხარჯს გადარჩება, დაუბრუნდება ქონები პატრონს.

განცხადებანი

გამოვიდა ახლათ გამოცემული

ვეფხვის ტყაოსანი

და ისყიდება თფილისში ჯერ ჯეროობით მარტო უფ. ე. ხელაძის სტამბაში (განოვის ქუჩაზე მ. ბებუთოვის სახლებში). საალდგომოთ ქუთაისში და სხვა ქალაქებში გაიგზავნება. ფასი ათი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
ცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილისსაათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ძერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, პარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ყახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ლია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 25 მარტს.		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში 33 პენსი.	—	84
პარიჟში 350 სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	98	75
მოგებიანი(პირველისესხი)	197	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	193	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზზ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	87	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	224	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 1 აპრილს.		
პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	60
—ამერიკისა, ფუთი. :	6	65
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	—
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	40
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	80
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	90
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
—ფხვნილი ფუთი . .	6	90
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	49
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	89

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Апрѣля 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.